

## თავი 26

### დაფინანსების წყაროები: ვალდებულებები

1. როცა სესხის კონვერტაცია გულისხმობს, 100 ევროს სესხის გაცვლას 25 ჩვეულებრივ აქციაში, ადგილი აქვს:
  - ა) კონვერტაციის უფლებას კონვერტაციის კოეფიციენტით;
  - ბ) კონვერტაციის უფლება კონვერტაციის ფასით;
  - გ) გრძელვადიანი სესხი ვარანტით.
2. თუ გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდი გამოშვებულია გარკვეული ვარანტით, მაშინ ამ ოფციონის შესრულების შემდეგ ფასიანი ქაღალდი:
  - ა) აგრძელებს არსებობას;
  - ბ) აღარ არსებობს;
  - გ) გააჩნის ოფიონის პირობებს.
3. პიბრიდულ დაფინანსების წყაროებს მიეკუთვნება:
  - ა) ობლიგაციები;
  - ბ) პრივილეგირებული აქციები;
  - გ) კონვერტირებადი სავალო ვალდებულება.
4. ვარანტის უპირატესობებია:
  - ა) კარგი გამოსავალია აქციებზე მაღალი საბაზრო ფასის დროს;
  - ბ) კარგი გამოსავალია აქციებზე დაბალი საბაზრო ფასის დროს.;
  - გ) ორივე მოსაზრება მცდარია.
5. ობლიგაციები გამოიშვება ფასდაკლებით, როცა:
  - ა) ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი მეტია ობლიგაციის ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.
  - ბ) ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი ნაკლებია ობლიგაციის ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე;
  - გ) ორივე პასუხი სწორია.
6. ობლიგაციები დაფარვის ჭიბების მიხედვით შეიძლება იყოს:
  - ა) ერთდროულად გადახდით დაფარვის დადგენილ ვადაში;
  - ბ) თანდათანობით დაფარვით, ობლიგაციის გამოსასყიდი ფონდის მეშვეობით;
  - გ) ორივე პასუხი სწორია.
7. როცა ობლიგაციის მფლობელს შეუძლია იგი გაცვალოს ემიტენტის ჩვეულებრივ აქციების განსაზღვრულ ოდენობაში (წინასწარ განსაზღვრულ ვადაში) ეწოდება:
  - ა) პრივილეგირებული ობლიგაცია;
  - ბ) ობლიგაცია ნულოვანი კუპონით;
  - გ) კონვერტირებადი ობლიგაცია.

8. ობლიგაციის გამოშვებისას ემიტენტი შეიძლება იყოს:

- ა) კორპორაცია;
- ბ) ბანკი;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

9. კუპონის გადახდის სიხშირის მიხედვით ობლიგაცია შეიძლება იყოს:

- ა) პროცენტის ფოველდღე გადახდის პირობით;
- ბ) პროცენტი არ გადაიხდება;
- გ) არც ერთი პასუხია სწორი.

10. სავალო ვალდებულების უპირატესობა ინვესტორის თვალსაზრისით არის:

- ა) სავალო ვალდებულების დაფარვის განსაზღვრული ვადა;
- ბ) შემოსავლები ფიქსირებულია მოგებისაგან დამოუკიდებლად;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

11. როცა ძირითადი თანხის გადახდა მოხდება მომავალში, წინასწარ დადგენილი თარიღისათვის, მაშინ საქმე გვაქვს:

- ა) გამოსყიდვად სავალო ვალდებულებასთან;
- ბ) არაგამოსყიდვად სავალო ვალდებულებასთან;
- გ) არც ერთი პასუხია სწორი.

12. სავალო ვალდებულების უპირატესობა კომპანიის თვალსაზრისით არის:

- ა) პროცენტების გადაუხდელობის შემთხვევაში კრედიტორები კონტროლს აწესებენ კომპანიის სასქმიანობაზე;
- ბ) პროცენტი გადახდილი უნდა იყოს იმისდამიუხედავად თუ როგორია კომპანიის შემოსავლები.
- გ) ვალის აღებით არ ხდება კონტროლის გაზავება.

13. გრძელვადიანი დაფინანსების წყაროებს მიეკუთვნება:

- ა) ლიზინგი;
- ბ) განვადებით შესყიდვა;
- გ) ობლიგაციები.

14. საშუალოვადიანი დაფინანსების წყაროებს მიეკუთვნება:

- ა) საბანკო ოფერდრაფტი
- ბ) პრივილეგირებული აქციები;
- გ) ლიზინგი.

15. კომპანიაში დამატებით შემოედინება კაპიტალი, როცა:

- ა) შესრულდება ფასიან ქაღალდებზე გაყოლებული ვარანტი;
- ბ) შესრულდება ფასიან ქაღალდებზე გაყოლებული კონვერტაციის უფლება;
- გ) არც ერთი პასუხია სწორი.

## ამოცანა №1

2008 წლის 01 იანვარს კომპანიამ გამოუშვა გრძელვადიანი პროცენტიანი ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ახლავს ვარანტი. ვარანტის არსი შემდეგია:

200 ლარის თანხის ობლიგაციების მფლობელებს შეუძლიათ ზელი მოაწერონ კომპანიის 40 მდე ჩვეულებრივ აქციას, თითოეული აქციას 12 ლარად. ოფციონი შეიძლება გამოყენებულ იქნეს 2010 -2011 წლებში ნებისმიერ დროს.

აქციების საბაზრო ფასის შესახებ გვაქვს შემდეგი ინფორმაცია:

2010 წლის განმავლობაში 1 აქციის საბაზრო ფასი შეადგენდა 9 ლარს, ხოლო 2011 წლის განმავლობაში კი 15 ლარს.

### განსაზღვრულ ვარანტის ღირებულება:

- 1) 2010 წელს.
- 2) 2011 წელს.

## ამოცანა №2

კომპანიამ 2008-2009 წლებში გამოუშვა 9% -იანი კონვერტირებადი გრძელვადიანი პროცენტიანი ფასიანი ქაღალდები. ოფციონი კონვერტაციაზე გულისხმობს 100 ლარის ფასიანი ქაღალდების კონვერტაციას 50 ჩვეულებრივ აქციაში და შეიძლება შესრულდეს 2011 – 2012 წლებში.

კომპანიის ჩვეულებრივი აქციების საბაზრო ფასის შესახებ გვაქვს შემდეგი ინფორმაცია: 2011 წელს 1 ჩვეულებრივი აქციის ღირებულება იყო 0.80 ლარი, ხოლო 2012 წელს კი 2.50 ლარი.

### კასანგარიშეთ კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების ღირებულება:

- ა) 2011 წელს.
- ბ) 2012 წელს.

### ამოცანა №3

კომპანია “X” აწარმოებს მრავალფეროვან პროდუქციას საკუთარი სავაჭრო ნიშნით. პროდუქციას გააჩნია თავისი ბაზარი, თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში საერთო გაყიდვები გაიზარდა ძალიან მცირე ოდენობით.

საწარმოს გააჩნია 12 წლის გამოშვებული 15%-იანი ობლიგაციები, რომლებიც ექვემდებარება დაფარვას ნებისმიერ დროს 20X4 წლიდან 20X7 წლამდე. ობლიგაციებს ახლავს პირობა, რომ ნასესხები კაპიტალის შეფარდება საკუთართან არასოდეს არ უნდა აჭარბებდეს 50%-ს.

დღევანდელი დღისათვის შპს “X”-ის ფინანსური ანგარიშგებას აქვს შემდეგი სახე:

#### ბალანსი 20X4 წლის 30 იანვრისათვის

გამოყენებული აქტივები	მლნ. ლარი	მლნ.ლარი	მლნ. ლარი
<b>ძირითადი სშუალებები (წმ. ღირებულება)</b>			
მიწა			5.0
შენობა			4.0
აღჭურვილობა და სატრანსპორტო სშუალებები			<u>11.0</u>
			<u>20.0</u>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
მარაგი	2.5		
დებიტორები	4.0		
სალარო	<u>0.5</u>		
			<u>7.0</u>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>			
კრედიტორები	(4.0)		
საბანკო ოვერდორაფტი	<u>(3.0)</u>		
			<u>(7.0)</u>
<b>წმინდა მიმდინარე აქტივები</b>			<u>0.0</u>
ჯამური აქტივები მიმდინარე ვალდებულებების გამოკლებით			20.0
გრძელვადიანი კრედიტორები			
15% -იანი ობლიგაციები 2004 – 2007			<u>(5.0)</u>
<b>წმინდა აქტივები</b>			<u>15.0</u>
<b>დაფინანსებულია:</b>			
ჩვეულებრივი აქციები			5.0
რეზერვები			<u>10.0</u>

ამონარიდი მოგება - ზარალის ანგარიშებიდან წლისათვის, რომელიც მთავრდება 20X4 წლის 30 ივნისს.

	მლნ.ლარი
გაყიდვები	28.00
გაყიდვების თვითღირებულება	(20.00)
დანახარჯები ადმინისტრტირებასა და გასაღებაზე	(5.00)
 საოპერაციო მოგება	 3.00
პროცენტის ხარჯი	(1.00)
 მოგება დაბეგვრამდე	 2.00
გადასახადი	(0.66)
 მოგება დაბეგვრის შემდეგ დივიდენდი	 1.34 (0.70)
 გაუნაწილებელი მოგება	 0.64